

**პროფესიული მომზადების პროგრამა:** ავტომობილის ამძრავი სისტემების და დაკიდების მექანიზმის შეკეთება

**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:** მესამე

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 14 კვირა (248 სთ)

**კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** 9 – 16 - 18 სთ

**მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:** მინიმალური 5 ; მაქსიმალური 10

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** საბაზო განათლების მქონე სრულწლოვანი პირი

**პროგრამის მიზნები:** პროფესიული მომზადების პროგრამა „ავტომობილის ამძრავი სისტემების და დაკიდების მექანიზმის შეკეთება“- მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც პროგრამის გავლის პერიოდში შეისწავლიან: ავტომობილზე საჭირო საზენკლო ოპერაციების ჩატარებას, ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციას და მათი შესაბამისი დაკიდების სისტემის, წამყვანი ხიდებისა და ამძრავების შეკეთების სერვისს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით. მსმენელები პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლებენ დასაქმდნენ ავტომობილის სერვისის სფეროში, სხვადასხვა ავტოსახელოსნოებსა და პროფილაქტიკებში.

### **სწავლის შედეგები:**

1. ავტომობილზე საჭირო საზენკლო ოპერაციების ჩატარება
2. ავტომობილების კლასიფიკაცია, სხვადასხვა ავტომწარმოებლების გათვალისწინებით
3. ავტომობილის დაკიდების სისტემის სერვისი
4. ავტომობილის წამყვანი ხიდებისა და ამძრავების სერვისი

**პროგრამის მოკლე აღწერა:** პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს ცოდნა /უნარები ავტომობილის ამძრავი სისტემების და დაკიდების მექანიზმის შეკეთების საქმეში და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა (A გარემო) და სასწავლო სახელოსნოში (C გარემო), მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლივობაა 14 კვირა, 248 საკონტაქტო საათი, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 9 – 16 -18 სთ.

სწავლების მეთოდებია: ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა.

ხოლო შეფასების მეთოდებია: პრაქტიკული დავალების შესრულების დროს ზეპირი გამოკითხვა და სამუშაოს შესრულებაზე დაკვირვება; ყოველ კვირაში მოხდება განმავითარებელი შეფასება, ხოლო ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს - ჩატარდება განმსაზღვრებელი შეფასება - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

პროფესიული პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.